პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 22 0000431432

29/04/2022

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 აპრილის N430600 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 4

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. 54
2	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 1013	86	116	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. 54
3	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	52	67	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. 54
4	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. 54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური)